



საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური



№ 0808/31

08/02/2016

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საჩივრის
განუხილველად დატოვების შესახებ

პრეზიდიუმის შემადგენლობა:

ლაშა თორდია - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი, პრეზიდიუმის
სხდომის თავმჯდომარე;

ვანო ზარდიაშვილი - გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე;

დევი ვეფხვაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;

დავით მჭედლიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;

ფრიდონ შენგელია - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი;

ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

ნოე ქაშიბაძე - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

ვაჟა ბრაგვაძე - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

ზურაბ აზნაურაშვილი - პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის
სამსახურის უფროსი;

არჩილ კიკვაძე - ადმინისტრაციის უფროსი;

ნატო ზაალიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

კახაბერ კირტავა - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

იოსებ გაბუნია - შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი: სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
(შემდგომში - ელექტროსისტემა).

დავის საგანი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული „ს/ს „საქართველოს
სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის
შესაბამისობის აუდიტის N75/00 ანგარიშის“ ბათილად ცნობა.



აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2016 წლის 25 იანვარს N01/16/376-13 საჩივრით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N413/29) მომართა ელექტროსისტემამ და მოითხოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული „ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის შესაბამისობის აუდიტის N75/00 ანგარიშის“ ბათილად ცნობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის მიხედვით, 2015 წლის 17 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიღებულ იქნა ელექტროსისტემის სარჩელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2015 წლის 17 ნოემბრის N3/35 გადაწყვეტილებისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცებული „ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის შესაბამისობის აუდიტის N58/00 ანგარიშის“ გაუქმების მოთხოვნით, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პრეზიდიუმის აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედება 2015 წლის 17 დეკემბრიდან შეჩერებულია და მის საფუძველზე 30 დეკემბერს აუდიტის N75/00 ანგარიშის დამტკიცება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. საჩივრის ავტორის მითითებით, აღნიშნული გარემოება 2015 წლის 30 დეკემბრის „ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის შესაბამისობის აუდიტის N75/00 ანგარიშის“ ბათილობის აბსოლუტურ-კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს.

გარდა ამისა, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შესაბამისობის აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის ISSAI 4100-ის დაუცველად, ასევე, დარღვეულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ N75/00 ანგარიშის შედგენისას აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა განსახილველი საკითხების სრულყოფილი და დეტალური გამოკვლევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი აყენებს მოთხოვნას აუდიტის მთელი ანგარიშის მიმართ, რომელიც განხილული უნდა იქნეს ყოველი ქვეთავისა თუ ეპიზოდის მიხედვით, გაუქმების ან შეცვლის შესახებ საჩივრის მოთხოვნების ჭრილში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა ელექტროსისტემის 25.01.2016წ. საჩივრის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, 2016 წლის 28 იანვარს გამართული სხდომის საოქმო ჩანაწერით დაადგინა:

საჩივარზე დართული დოკუმენტით (თბილისის საქალაქო სასამართლოს ცნობა) დასტურდება მხოლოდ ელექტროსისტემის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის ფაქტი, თუმცა არც დავის საგანი და არც სარჩელის წარმოებაში მიღებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 17.11.2015წ. N3/35 გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების ფაქტი არ დგინდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არც შესაბამისი ორგანოდან შემოსულა აღნიშნულის დამადასტურებელი ინფორმაცია.

ელექტროსისტემის 2016 წლის 25 იანვრის საჩივარი შეეხება იმავე საკითხს, რაზედაც უკვე არსებობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, კერძოდ:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2015 წლის 27 ოქტომბერს საჩივრით N01/15/325-124 (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2121/01) მომართა ელექტროსისტემამ და


მოითხოვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცებული „ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის შესაბამისობის აუდიტის N58/00 ანგარიშის“ გაუქმება/შეცვლა/დაზუსტება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის მიერ საჩივრის განხილვის შედეგად მიღებულ იქნა 17.11.2015წ. N3/35 გადაწყვეტილება საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა ელექტროსისტემისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე, რის შემდგომაც, ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტმა 2015 წლის 30 დეკემბერს დაამტკიცა აუდიტის N75/00 ანგარიში, რომელშიც ასახულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის N3/35 გადაწყვეტილების შესაბამისად აუდიტის N58/00 ანგარიშთან დაკავშირებული ცვლილებები.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ იკვეთება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საჩივრის არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი, რის გამოც ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ელექტროსისტემას მიეცა შესაძლებლობა, 5 დღის ვადაში, წარმოედგინა საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე.

ელექტროსისტემამ თავის წერილობით მოსაზრებებში (N558/09 05.02.2016წ.; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N737/01 05.02.2016წ.) აღნიშნა, რომ 2016 წლის 25 იანვრის საჩივარი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული, ვინაიდან გასაჩივრებული აუდიტის N75/00 ანგარიში არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული აქტი, რაზედაც მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

1. აუდიტის N75/00 ანგარიში არ შეიცავს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ იგი არის აუდიტის N58/00 ანგარიშში ცვლილებების შეტანის შესახებ აქტი;
2. აუდიტის N75/00 ანგარიშის არც აღწერილობითი, არც სამოტივაციო და არც სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ინფორმაციას ან/და ჩანაწერს იმის შესახებ, რომ ეს ანგარიში (N75/00) მიღებულია პრეზიდენტის 2015 წლის 17 ნოემბრის N3/35 გადაწყვეტილების საფუძველზე, მის შესაბამისად ან/და მის შესასრულებლად;
3. აუდიტის N75/00 ანგარიშის შინაარსის შესაბამისად რთულია განხორციელდეს N58/00 ანგარიშში შეტანილი ცვლილებების იდენტიფიცირება, ან/და მათი შესაბამისობისა თუ აუთენტურობის დადგენა პრეზიდენტის 2015 წლის 17 ნოემბრის N3/35 გადაწყვეტილებასთან მიმართებით;
4. იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, აუდიტის N58/00 ანგარიშში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, N75/00 ანგარიშში ასახული უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმ ქვეთავების ის ნაწილები, რომლებიც პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად საჭიროებდნენ ცვლილებას ან გაუქმებას. რეალურად კი, აუდიტის სამსახურის N75/00 ანგარიში მოიცავს ყველა იმ საკითხსა და პუნქტს (მიუხედავად იმისა განხორციელებულია თუ არა მათში ცვლილება), რაც ასახული იყო აუდიტის სამსახურის N58/00 ანგარიშში.

რაც შეეხება ელექტროსისტემის მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღების გამო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის N3/35 გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების საკითხს, ელექტროსისტემას აღნიშნულზე დამატებითი მოსაზრება არ წარმოუდგენია.



II

სამოტივაციო ნაწილი

საჩივარი არსებითად განსახილველად მიიღება, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ამ კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე/განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ელექტროსისტემის 2016 წლის 25 იანვრის საჩივარი შეეხება იმავე საკითხს, რაზედაც უკვე არსებობს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, კერძოდ, დავის საგანია ელექტროსისტემის 2015 წლის 27 ოქტომბრის N01/15/325-124 საჩივრით გასაჩივრებულ აუდიტის N58/00 ანგარიშზე მიღებული პრეზიდიუმის 17.11.2015წ. N3/35 გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადებული „ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის შესაბამისობის აუდიტის N75/00 ანგარიში“, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2015 წლის 30 დეკემბერს ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მიერ. აუდიტის N75/00 ანგარიში, რედაქციულად, პრეზიდიუმის N3/35 გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების შედეგად აუდიტის ანგარიშის კონსოლიდირებულ ვერსიას წარმოადგენს.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის პოზიცია მიმართულია გასაჩივრებული აუდიტის ანგარიშის იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით გაუმართაობის მტკიცებისკენ და საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია სათანადო არგუმენტაცია, რომელიც დაასაბუთებდა, რომ გასაჩივრებული აუდიტის ანგარიში, მისი შინაარსის გათვალისწინებით, თვისებრივად განსხვავებულ საკითხებს მოიცავს, რომელზედაც პრეზიდიუმს არ უმსჯელია. საქმის მასალებიდან ასევე არ დასტურდება საჩივრის ავტორის მიერ გასაჩივრებული აუდიტის ანგარიშის ბათილობის აბსოლუტურ-კანონისმიერ საფუძველად მითითებული პრეზიდიუმის N3/35 გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების ფაქტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმი მივიდა დასკვნამდე, რომ სახეზეა ელექტროსისტემის 2016 წლის 25 იანვრის N01/16/376-13 საჩივრის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N413/29 25.01.2016წ.) განუხილველად დატოვების საფუძველი.

III

სარეზოლუციო ნაწილი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის



N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ელექტროსისტემის 2016 წლის 25 იანვრის N01/16/376-13 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N413/29 25.01.2016წ.) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული „ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011, 2012 და 2013 დასრულებული წლებისათვის შესაბამისობის აუდიტის N75/00 ანგარიშის“ ბათილად ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველი.
2. გადაწყვეტილება გაეგზავნოს დაინტერესებულ მხარეს.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარისათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი,
პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე

ლაშა თორდია

გენერალური აუდიტორი
ლაშა თორდია

